ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №2

21.12.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. ალექსანდრე ხუჯაძე - კომისიის წევრი;
5. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
6. ზვიად კუპრავა - კომისიის წევრი;
7. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032135419-03; 20.12.2021);

2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213504-03; 16.12.2021).

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
- **ნინო მაღრაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ზ.კუპრავა - დედაქალაქისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მაგრამ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო სხდომა.

მ.კაკაურიძე - უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან შემჭიდროვებულ ვადებში ხდება საკითხების მოწოდება, არსებული დრო არ არის საკმარისი პროექტის სიღრმისეულად შესასწავლად, განსაკუთრებით როდესაც საქმე ბიუჯეტს ეხება.

შ.ოგბაიძე - განსახილველად წარმოდგენილია პროექტი, რომლის თანახმადაც დედაქალაქისთვის ძალიან ბევრი სასიკეთო ცვლილება განხორციელდება, შესაბამისად ნამდვილად ღირს, რომ პროექტი განხილული იქნეს დაჩქარებული წესით. მომხსენებელს ვთხოვ, წარმოგვიდგინოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032135419-03; 20.12.2021)**

ლ.მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (ძირითადი აქტივების გაყიდვიდან) მისაღები შემოსავლები - **3 476,9 ათასი** ლარის ოდენობით, ხოლო მცირდება ქონების გადასახდიდან მისაღები შემოსავლები - **3 253,9 ათასი** ლარით და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები - **220,0 ათასი** ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა არ იცვლება და შეადგენს **1 270 531,8 ათას** ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა გარკვეულ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - **28 764,0 ათასი** ლარით;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - **15 531,8 ათასი** ლარით;
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - **156,0 ათასი** ლარით;
- სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) - **500,0 ათასი** ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 128 769,5 ათასი** ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო **54 699,2 ათასი** ლარით.

შ.ოგბაიძე - უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქის ბიუჯეტით 30-მდე სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქის უფასო და შეღავათიანი მგზავრობის დაფინანსება ხდება. ბოლო წლებში მუნიციპალური ტრანსპორტით დაახლოებით 240 000 000 მსგავსი კატეგორიის მგზავრის გადაყვანა განხორციელდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032135419-03; 20.12.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213504-03; 16.12.2021).**

ნ.მაღრაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილებები შედის ზ/ა დადგენილების გარკვეულ პუნქტებში და შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული საქალაქო ტრანსპორტისა და სპორტის დარგში მომსახურე

აგენტების საქმიანობისათვის ხდება განსხვავებული, შეღავათიანი განაკვეთის დადგენა.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგულარული საქალაქო ტრანსპორტის, ასევე, სპორტის დარგით დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტებს და დარგის მმართველ სახელმწიფო უწყებებს უგროვდებათ დიდი რაოდენობით საგადასახადო ვალდებულებები ქონების გადასახადის ნაწილში (ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ტრანსპორტისა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში, რომელიც არის დიდი საბალანსო ნარჩენი ღირებულების მქონე).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადების შემოღება თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის, ან/და ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეობების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის შუფერხებელი ფუნქციონირებისთვის საჭიროა გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენა. შესაბამისად, ცვლილების შედეგად მოხდება როგორც ტრანსპორტის, ასევე სპორტის დარგში მომსახურე აგენტებისთვის საქმიანობის ხელშეწყობა, საშეღავათო პირობების დაწესების გზით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213504-03; 16.12.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე